



შენაბავისთვის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვაშტიკიშვიტ"

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა
და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
სოფიო დვალისშვილი

ს. მუხრან

"21" დეკემბერი 2018 წელი

N 74/36

ფგზ: N: 2

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის
იურიდიული პირის დაცვის პოლიციის
დეპარტამენტის შიდა განხორციელებული
სახელმწიფო შესყიდვების 2017 წლის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

დეპარტამენტი - სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

კანონი - საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

MAF - ავტორიზაციის ფორმა, რომელიც ივსება მწარმოებლის მიერ და ადასტურებს პარტნიორისთვის კონკრეტულ პროდუქციასთან დაკავშირებულ გარიგებაზე უფლებამოსილების მინიჭებას.

პრეისკურანტი - პროდუქციის, საქონლის, მანქანა-მოწყობილობების, აგრეთვე მომსახურების სისტემატური ნუსხა ფასების მითითებით

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები.....	1
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
შესავალი	8
1.1 ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	8
1.2 აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
1.3 აუდიტის საგანი	8
1.4 აუდიტის მასშტაბი	9
1.5 გამოყენებული კრიტერიუმები.....	9
1.6 აუდიტის მიზანი	9
1.7 ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ	9
აუდიტის მიგნებები	12
2.1 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში არსებული ნაკლოვანებები.....	12
2.2 სატენდერო კომისიის არარაციონალური გადაწყვეტილებები	13
2.3 პრეტენდენტებისადმი მოთხოვნებსა და შესყიდვის ობიექტის აღწერაში არსებული ხარვეზები.....	19
2.4 დაჯავშნული ავტომანქანების შესყიდვა.....	24
2.5 ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვებში არსებული ნაკლოვანებები	25
2.6. დაცვის პოლიციის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი.....	32
3. წინა აუდიტით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.....	33

შემაჯამებელი მიმოხილვა

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ უმთავრეს მიზანს სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნული თავის მხრივ მიიღწევა შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობით, ჯანსაღი კონკურენციითა და შესყიდვების მონაწილეთა მიმართ არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობით. სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ მიერ განხორციელებული შესყიდვების გაანალიზებით გამოვლინდა, რომ ზემოთ მოყვანილი წინაპირობები გარკვეულ შემთხვევებში დარღვეულია. შესწავლილ ტენდერებში, სატენდერო კომისიის არამიზანშეწონილი გადაწყვეტილებების, ასევე პრეტენდენტებისადმი მოთხოვნებსა და შესყიდვის ობიექტის აღწერასა და დაუსაბუთებელი შესყიდვის შედეგად, ვერ მოხერხდა **333.2 ათასი ლარის** ეკონომიის მიღება.

ცხრილი N1: სახელმწიფო ფულადი სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ნაკლოვანებები და გამომწვევი მიზეზები

შესყიდვა	შესყიდვის ღირებულება	ეკონომიის შესაძლებლობა
სულ	2,272.8	333.2
სატენდერო კომისიის არასათანადო გადაწყვეტილებების შედეგი		
ფეხსაცმლის შესყიდვა	720.0	44.0
ზამთრის ფეხსაცმლის შესყიდვა	484.9	65.1
ქურთუკების შესყიდვა	365.9	26.6
კვამლის დეტექტორების შესყიდვა	120.0	40.0
პრეტენდენტებისადმი მოთხოვნებსა და ობიექტის აღწერაში არსებული ხარვეზების შედეგი		
ტონერიანი კარტრიჯების შესყიდვა	217.7	66.7
საველე უნიფორმების შესყიდვა	172.5	8.1
სათვალთვალო დაცვის სისტემების შესყიდვა	115.4	6.5
სარეკლამო მომსახურება შესყიდვა (საჭიროების დაუსაბუთებლობა)	76.4	76.4

დაჯავშნული ავტომანქანების შესყიდვა - ავტომობილების „ჩანაცვლების წესით“ შესყიდვის გამო, განხორციელდა გამარტივებული შესყიდვა (ერთ პირთან მოლაპარაკებით). ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულ ჩანაცვლებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან ჯამურად მცირე ღირებულების ძველი ავტომანქანები (16.5 ათასი ლარი) ჩანაცვლებულია მრავალჯერ მეტი ჯამური ღირებულების ახალი ავტომანქანებით (575.2 ათასი ლარი), რამაც კონკურენციის არ არსებობის პირობებში გამოიწვია ავტომანქანების მაღალ ფასად შესყიდვა. აღნიშნული რისკის დასაზღვევად, დეპარტამენტს შეეძლო გამოეცხადებინა ტენდერი.

ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა - სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახალი დაჯავშნული ავტომანქანების („Ford Transit“ და „Ford Ranger“) შეძენას ძირითადად აწარმოებდა შპს „აიემ კავკასიისგან“. შპს „აიემ კავკასია“ თავის მხრივ ავტომანქანების (დაუჯავშნელის) შეძენას ახდენდა შპს „ჯი თი მოტორსისგან“ და შემდგომ უტარებდა დაჯავშნის სამუშაოებს. შპს „აიემ კავკასია“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, დეპარტამენტი იღებდა ვალდებულებას, რომ *საგარანტიო პერიოდის* განმავლობაში ავტომობილს *ნებისმიერი* სახის ტექნიკურ მომსახურებას ჩაუტარებდა და საჭირო სათადარიგო ნაწილებს (გარდა საბურავებისა) შეიძენდა, მხოლოდ შპს „ჯი თი მოტორსის“ სერვის ცენტრებში. შედეგად, დეპარტამენტი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დამატებით ხელშეკრულებებს (თანდართული პრეისკურანტით) აფორმებდა აღნიშნულ კომპანიასთან.¹ ხელშეკრულებების საფუძველზე, ავტომანქანებისთვის ხუნდების გამოცვლა ხდებოდა გაცილებით უფრო მაღალ ფასად, ვიდრე არასაგარანტიო პერიოდში. კერძოდ, დეპარტამენტი, არასაგარანტიო პერიოდში, სამუხრუჭე ხუნდების შეძენას აწარმოებდა ელექტრონული ტენდერების საშუალებით, ხოლო შეძენილი ხუნდების მონტაჟს აწარმოებდა საკუთარი ძალებით (საკუთარ ავტოფარეხში), ან სხვა სერვის ცენტრების საშუალებით, რაც გაცილებით უფრო იაფი უჯდებოდა, ვიდრე შპს „ჯი თი მოტორსის“ მიერ გაწეული ანალოგიური მომსახურება. საილუსტრაციოდ, დეპარტამენტის მიერ საგარანტიო პერიოდში ხუნდების ტენდერების გზით შესყიდვის შემთხვევაში, მიღებული იქნებოდა **200.0** ათას ლარზე მეტი ეკონომია.

აღსანიშნავია, რომ იმპორტიორი კომპანიების მიერ ზემოაღნიშნული პირობით ხელშეკრულების გაფორმება მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს, თუმცა, დეპარტამენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვინაიდან მისი ავტოპარკის ექსპლუატაცია მნიშვნელოვან დანახარჯებს უკავშირდება (მაგალითად, გაცილებით უფრო ინტენსიურია ხუნდების ცვლას), მიზანშეწონილია ხარჯების რაციონალიზაციის მიზნით დეპარტამენტმა შესყიდვების განხორციელებისას გამოიყენოს „ზღვრული ფლობის ღირებულებით“² შესყიდვის პრაქტიკა (რომელიც ავტომანქანის ღირებულებასთან ერთად მოიცავს აუცილებელ საგარანტიო მომსახურებას) და ამ გზით რესურსები ეკონომიურად განკარგოს.

ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვისას პრეისკურანტის განსაზღვრის წესში არსებული ნაკლოვანება - ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების ტენდერებით შესყიდვისას, არსებობს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მეთოდის გაუმჯობესების პოტენციალი (ფასის პროპორციული კლების სისტემის მაგივრად, საშუალო შეწონილი ღირებულებით გაანგარიშება - დეტალურად იხილეთ აუდიტის ანგარიშში) რაც შეამცირებს ავტოტექნომომსახურების შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებს.

დაცვის პოლიციის ფინანსური მდგომარეობა - დაცვის პოლიციის დეპარტამენტს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საკუთარი შემოსავლებიდან 5 მლნ ლარზე მეტი ნაშთის სახით ერიცხებოდა. 2017 წლის განმავლობაში დეპარტამენტმა შემოსულობების სახით

¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

² საქართველოს მთავრობის 121-ე დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და მომსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია სხვადასხვა კატეგორიის ავტომანქანების შესყიდვა ე.წ. „ზღვრული ფლობის ღირებულებით“. ფლობის ღირებულება ავტომანქანის ღირებულებასთან ერთად მოიცავს წინასწარ განსაზღვრული ტექნიკური მომსახურების ღირებულებასაც. დადგენილებით განსაზღვრული პირობებით დგინდება ავტომანქანისა და აუცილებელი ტექნომომსახურების შესყიდვის ღირებულება. აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება *ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებზე*.

მიიღო 112 მლნ ლარზე მეტი, ხოლო წლის ბოლოს დეპარტამენტს თავისუფალი ნაშთი გაეზარდა, რამაც 6 მლნ ლარს გადააჭარბა. გარდა თავისუფალი რესურსისა, მიღებული შემოსავლებიდან დეპარტამენტი უზრუნველყოფს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა უწყებებისთვის თანხების გადაცემას (3 მლნ ლარამდე ოდენობით). ამასთან, დეპარტამენტი დაფინანსებას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც, რაც 9 მლნ ლარს აღემატება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემოსავლებიდან მობილიზებული დაახლოებით 9 მლნ ლარი (არსებული ნაშთი და სხვა უწყებებისთვის გადაცემული რესურსი) თავისუფალ განკარგვას ექვემდებარება, თუმცა აღსანიშნავია რომ წლის დასაწყისში (შემოსავლების მიღებამდე) დეპარტამენტს საწყისი რესურსები განსაკარგავად უნდა გააჩნდეს.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მიგნებების საპასუხოდ გავეცით შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია N1: სატენდერო კომისიის მიერ ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვისთვის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია რომ:

- ტენდერების მიმდინარეობისას მაქსიმალურად იქნას შეზღუდული სატენდერო წინადადების წარმდგენი პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია არაარსებითი სახის შეცდომების (ბეჭდვითი უზუსტობები, ტექნიკური ხარვეზი რომლის დაზუსტებაც არ წარმოადგენს სირთულეს) გამო;
- სატენდერო წინადადებების დაზუსტებისას პრეტენდენტებს (მათი არგუმენტირებული მოთხოვნის შემთხვევაში) მიეცეთ კანონმდებლობით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადები დოკუმენტაციის წარდგენისა და დაზუსტებისთვის;
- სატენდერო წინადადების გამოქვეყნებამდე მოხდეს ბაზრის წინასწარი სრულყოფილი შესწავლა, საჭირო ტექნიკური მახასიათებლების დასაბუთება ან/და ამ მიმართულებით არსებული წინა გამოცდილების გათვალისწინება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციების შესაბამისად.

რეკომენდაცია N2: კონკურენტული და ეკონომიური შესყიდვების განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია დეპარტამენტმა სატენდერო დოკუმენტაციით საკვალიფიკაციო მოთხოვნები (პრეტენდენტის გამოცდილების, ფინანსური ბრუნვის და სხვა ტიპის მოთხოვნები) განსაზღვროს არგუმენტირებულად, პროპორციულობის პრინციპის დაცვით; ასევე შესყიდვის ობიექტების აღწერა მოხდეს არგუმენტირებულად, არააუცილებელი მოთხოვნების გარეშე.

რეკომენდაცია N3: ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, ავტომატჩანების შესყიდვა, ძირითადად განხორციელდეს ტენდერების საშუალებით, ისე რომ, როგორც სატენდერო დოკუმენტაციით, ისე შესაბამისი ხელშეკრულებით დაკონკრეტებული იყოს ორივე მხარის უფლება-მოვალეობები, მათ შორის საგარანტიო პერიოდში დამატებითი ტექნიკური მომსახურების შესყიდვა ფასების შეთანხმების ჩათვლით (ფლობის ღირებულების მსგავსი პრაქტიკა).

რეკომენდაცია N4: პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, დაჯავშნული ავტომატჩანების შეძენისას ტენდერები გამოცხადდეს შესყიდვის ჯამური ფასის კალკულაციის მოთხოვნით, კერძოდ: ცალკე ავტომატჩანების, ცალკე დასამონტაჟებელი მასალების, ტექნიკისა და მონტაჟის ღირებულებების განფასების მოთხოვნით (ყველა ზემოაღნიშნული ჯამით განისაზღვროს შესყიდვის სავარაუდო ღირებულება).

რეკომენდაცია N5: ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია დეპარტამენტმა გაითვალისწინოს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მეთოდში არსებული ხარვეზი და გამოიყენოს პრეისკურანტის ღირებულების გაანგარიშების სხვა ალტერნატიული მეთოდი.

რეკომენდაცია N6: მნიშვნელოვანია დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა და სამინისტრომ უზრუნველყონ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შემოსულობებისა და გადასახდელების, ასევე მისი საქმიანობისთვის აუცილებელი ფულადი რესურსებისა და თავისუფალი ნაშთის ოდენობების გაანალიზება. ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე უზრუნველყონ გადაწყვეტილების მიღება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დეპარტამენტის დაფინანსების ოდენობის გაანგარიშებისა ან/და თავისუფალი ნაშთების სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვის საკითხის შესახებ.

წინა აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

1. **გასულ წლებში კლიენტებისთვის GPS მომსახურების გაწევიდან დეპარტამენტი ვერ იღებდა სარგებელს.** დეპარტამენტის მიერ 2018 წლიდან გათვალისწინებული იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და გამოცხადებულ ტენდერებში (NAT170015220 და NAT180004695) ერთეულ მომსახურებაზე შემცირდა დანახარჯები, რის შედეგადაც გაიზარდა დეპარტამენტის შემოსავალი აღნიშნული მომსახურებებიდან.
2. **შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისა და პრეტენდენტებისთვის განსაზღვრული მოთხოვნების (საკვალიფიკაციო, გამოცდილების დამადასტურებელი) ნაკლოვანებებთან დაკავშირებული რეკომენდაცია** ნაწილობრივ შესრულდა, თუმცა ამ მიმართულებით არსებული ხარვეზები განხილულია მიმდინარე აუდიტის ანგარიშში.
3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა აუდიტების ანგარიშებში დაფიქსირებული იყო, რომ დეპარტამენტი კანონმდებლობის დარღვევით ახორციელებდა საფეხურთო კლუბების დაფინანსებას, აუდიტის სამსახურის მიერ გაიცა რეკომენდაცია აღნიშნული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, რაც მიმდინარე აუდიტის პერიოდში გათვალისწინებულია.
4. წინა აუდიტის ანგარიშებში გაცემული იყო რეკომენდაცია **შრომის ანაზღაურების სისტემის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რაც არ შესრულდა.** კერძოდ, ერთი და იგივე ობიექტზე, ასევე ერთი და იგივე ტარიფის გადამხდელ ორ სხვადასხვა ობიექტზე დასაქმებულ ერთი რანგის და თანამდებობის მოსამსახურეებს განესაზღვრება განსხვავებული ანაზღაურება იმის მიხედვით ეს ობიექტი 2013 წლის 1 მარტამდე არსებობდა, თუ არა. შრომის ანაზღაურების ზემოაღნიშნული წესი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.
5. წინა აუდიტით გამოვლინდა, რომ მიმწოდებლები არ იხდიდნენ დეპარტამენტის მიერ დაკისრებულ სანქციებს. მიმწოდებლების მიმართ გატარებული სანქცირების ღონისძიებებთან დაკავშირებული რეკომენდაცია დეპარტამენტის მიერ შესრულდა.

შესავალი

1.1 ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. ხელმძღვანელობა, ასევე, პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ კანონმდებლობასთან არსებით შეუსაბამობებს.

1.2 აუდიტორის პასუხისმგებლობა

დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი წარმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI 4000), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებული იქნას გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით დეპარტამენტის საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობას.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენს მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

1.3 აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- ჩატარებული ელექტრონული ტენდერების კანონმდებლობასთან შესაბამისობა;
- გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების მიზანშეწონილობა;
- მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა;
- წინა აუდიტით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესწავლა.

1.4 აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდი. გარდამავალ და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით შესწავლილი იქნა გასული წლების ცალკეული საკითხები და დოკუმენტაცია, ასევე შესაბამის პერიოდში წინა აუდიტით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.

1.5 გამოყენებული კრიტერიუმები

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის N266 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულება;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს მთავრობის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები.

1.6 აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბ) აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

1.7 ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში დეპარტამენტი) არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. დეპარტამენტის ამოცანებია კერძო დაცვით საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დადებული ხელშეკრულებების,

სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად დეპარტამენტი ახორციელებს ობიექტების, როგორც ფიზიკურ დაცვას, ასევე დასაცავი ობიექტების დაცვით-ტექნიკური საშუალებებით (მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სანავიგაციო სისტემებით) აღჭურვას და მომსახურებას, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვას (ინკასაცია), მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილებას.

დეპარტამენტის დაფინანსების ძირითად წყაროებს წარმოადგენს როგორც ეკონომიკური საქმიანობიდან (მომსახურების გაწევის საფუძველზე) მიღებული შემოსავლები, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (აღნიშნულით ფინანსდება მხოლოდ დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ასევე ეროვნული საგანძურის და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა). დეპარტამენტის მიერ 2017 წლის განმავლობაში მიღებული საკასო შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი N2: ინფორმაცია დეპარტამენტის მიერ 2017 წელს მიღებული შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ (ათასი ლარი)

2017 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
ნაშთი 1 იანვრისთვის	0	5,707.4
შემოსულობები	9,481.2	112,568.3
ცოცხალი ძალით დაცვა	-	78,623.0
პულტით დაცვა	-	13,874.7
პირადი დაცვა	-	4,933.1
დაცვა-გაცილება	-	2,970.4
საინკასაციო მომსახურება	-	9,647.1
მონტაჟი	-	344.9
GPS მომსახურება	-	386.2
სხვა დანარჩენი	-	1,788.9
გადასახდელები	9,481.2	111,958.8
შრომის ანაზღაურება	8,403.8	65,493.3
საქონელი და მომსახურება	342.5	10,205.9
გრანტები ³	-	14,045.8
სოციალური უზრუნველყოფა	169.7	1,838.0
სხვა ხარჯები ⁴	509.2	18,236.0
არაფინანსური აქტივების ზრდა ⁵	36.0	1,505.4
ვალდებულებების კლება ⁶	20.0	634.4
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	0	6,317.0

³ შსს სისტემის უწყებებისთვის გადაცემული თანხები, კერძოდ სსიპ „112“-ს გადაეცა 2,212.9 ათასი ლარი, ხოლო შსს ააიპ ძიუდოს სპორტულ კლუბს 599,7.0 ათასი ლარი. დანარჩენი თანხა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე ბიუჯეტში მიმართულ თანხებს (საკუთარი შემოსავლების 10%).

⁴ გადასახადები ბიუჯეტში (დღგ, მოგება, ქონება), მოსაკრებლები, პერსონალის დაზღვევის ხარჯი, ავტომანქანების დაზღვევის ხარჯი და სხვ.

⁵ არასაცხოვრებელი შენობები, მანქანა-დანადგარები

⁶ კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

დეპარტამენტის შემოსულობების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო შესყიდვების გეგმით 19,582.3 ათასი ლარი (16%) მიმართული იყო შესყიდვების დასაფინანსებლად.⁷ დეპარტამენტის 2017 წლის შესყიდვების საბოლოო კორექტირებული გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო **19,582.3** ათასი ლარის ღირებულების **198 CPV** შესყიდვის კატეგორია. წლის განმავლობაში ფაქტობრივად გამოცხადებული 160 ტენდერის სავარაუდო ღირებულებების ჯამმა შეადგინა 15,135.3 ათასი ლარი.

ცხრილი N3: გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა 2017 წელს (ათასი ლარი)

	რაოდენობა	ღირებულება
გამოცხადებული ტენდერები	160	15,135.3 ⁸
შეწყვეტილი ტენდერები	11	
ტენდერების საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება	149	9,073.5
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება	225	5,082.7
სულ გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება	374	14,156.2

⁷ ხარჯი გაწეულია საქონელი და მომსახურების, ასევე სხვა ხარჯების მუხლიდან

⁸ სავარაუდო ღირებულება

აუდიტის მიგნებები

2.1 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში არსებული ნაკლოვანებები

დეპარტამენტის მიერ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 18 ნოემბერს წარდგენილი 2017 წლის შესყიდვების საწყისი წლიური გეგმის მიხედვით გათვალისწინებული შესყიდვები და წლის განმავლობაში შესყიდვების გეგმაში შესული მნიშვნელოვანი ცვლილებები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი N4: ინფორმაცია 2017 წლის შესყიდვების საწყისი დამტკიცებული გეგმისა და ცვლილებების შესახებ (ათასი ლარი) CPV კოდების მიხედვით.

გეგმის დამტკიცების თარიღი	ჯამური თანხა	მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით		მათ შორის საკუთარი სახსრებით	
		რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
18.11.2016 საწყისი გეგმა	25,859.90	63	2,159.90	130	23,700.00
22.04.2017 ცვლილება	16,436.30	56	1,500.00	129	14,936.30
23.10.2017 ცვლილება	19,582.30	56	1,500.00	133	18,082.30
25.12.2017 საბოლოო გეგმა	19,582.30 ⁹	60	1,500.00	138	18,082.30

როგორც ცხრილიდან ჩანს, შესყიდვების გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებები წლის განმავლობაში რამდენჯერმე შევიდა. 25,9 მლნ ლარის ღირებულების საწყისი გეგმა აპრილის თვეში 16,4 მლნ-ით, ხოლო მოგვიანებით 19,5 მლნ ლარით განისაზღვრა.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის N714 განკარგულებით „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის 2017 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების თაობაზე“ განხორციელდა ბიუჯეტის შემცირება. შესაბამისად, 2017 წლის 12 აპრილს, დაკორექტირდა სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტი, რაც დაცვის პოლიციის დეპარტამენტზე დამოკიდებული არ იყო.

2017 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში განხორციელებული ცვლილებებით შესყიდვების გეგმის ჯამური ღირებულება უმნიშვნელოდაც არ შეცვლილა, მიუხედავად იმისა რომ შესყიდვის კატეგორიების რაოდენობა მნიშვნელოვნად შეიცვალა.

ამასთან, მსხვილი ტენდერების დიდი ნაწილი შეწყდა (11 ტენდერი) და შესყიდვები აღარ განხორციელდა, ვინაიდან გარკვეული შესყიდვები მიჩნეული იქნა არასაჭიროდ და ახალი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით (საჭიროებების გადახედვის მიზნით) ტენდერი კონკრეტულ წელს აღარ განხორციელდა. შეწყვეტილი შესყიდვები 2018 წლის განმავლობაში ნაწილობრივ მაინც იქნა განხორციელებული, თუმცა შეიცვალა მათი მოცულობები.¹⁰

⁹ საბიუჯეტო ტენდერების რაოდენობის ზრდა 56-დან 60-მდე გამოწვეულია 15900000, 44600000, 92400000 CPV კოდების დამატებით და 44600000-ის ორად გაყოფით. არასაბიუჯეტოს ზრდა 133-დან 138-მდე გამოწვეულია 34400000, 77300000 CPV კოდების დამატებით და 15800000, 15900000, 44600000 ზრდით შედეგად ორად გაყოფით (ორჯერ მეორედება).

¹⁰ 1. SPA170014743 - ადმინისტრაციული შენობის I და II სართულის სარემონტო სამუშაოები სავარაუდო ღირებულებით 588.8 ათასი ლარი. სამაგიერო ტენდერი 2018 წელს გამოცხადებულია NAT180015036 მხოლოდ ერთი სართულის (სასერვერო) სავარაუდო ღირებულებით - 293.8 ათასი ლარი. 2. SPA170013727 - აჭარის ოფისის სამუშაოები სავარაუდო ღირებულებით 414.7 ათასი ლარი. სამაგიერო გამოცხადებულია NAT180011382 მხოლოდ ნაწილობრივი სამუშაოებისთვის სავარაუდო ღირებულებით 102.9

ზემოაღნიშნული გარემოებები ერთობლივად მიუთითებს რომ 2017 წელს შესყიდვების დაგეგმვა მნიშვნელოვანი ცვლილებებით მიმდინარეობდა.

2.2 სატენდერო კომისიის არარაციონალური გადაწყვეტილებები

საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მიზნებს წარმოადგენს:

- სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა და ა.შ.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სატენდერო კომისია, რომელსაც არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.¹¹ დეპარტამენტში განხორციელებული შესყიდვების ანალიზისას გამოვლინდა, რომ გარკვეულ შემთხვევებში სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ ემსახურებოდა ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპს, რამაც დეპარტამენტს არ მისცა საშუალება ჯამურად 1,7 მლნ ლარის ღირებულების ტენდერების განხორციელებისას დაეზოგა ფულადი სახსრები 175.8 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ:

ფეხსაცმლის შესყიდვა

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების მიხედვით, შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენისთვის შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილი იყო, განესაზღვრა არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადა. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელი იყო არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც პრეტენდენტის მიერ მითითებული იქნებოდა სათანადო ობიექტური მიზეზი.¹²

ფეხსაცმელების შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA160005759) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 720.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები:

1. შპს „ნოვატორი“ - 676.0 ათასი ლარი;
2. შპს „SANDIKO“ - 720.0 ათასი ლარი.

ათასი ლარი. 3. SPA170014514 - სერვერები სავარაუდო ღირებულებით 567.4 ათასი ლარი. სამაგიერო ტენდერი გამოცხადებულია NAT180010832 ასევე ნაწილობრივი შესყიდვა სავარაუდო ღირებულებით 350.0 ათასი ლარი.

¹¹ საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მუხლი 2, მუხლი 11

¹² იმ პერიოდში მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით.

სატენდერო წინადადების დაბალი ფასის მქონე შპს „ნოვატორმა“ წარადგინა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ყველა სხვა დოკუმენტი, ხოლო აკრედიტებული საკვლევი ორგანოს (ლაბორატორიის) დასკვნის წარსადგენად, მოითხოვა კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი ხუთი დღე, რის ობიექტურ მიზეზად წარმოადგინა ის გარემოება, რომ ლაბორატორია ვერ ახერხებდა მოცემულ ვადაში დასკვნის სრულად მიწოდებას. ლაბორატორიას მიწოდებული ჰქონდა დასკვნის ძირითადი ნაწილი, ხოლო მცირედი ნაწილი ჯერ კიდევ მისაწოდებელი იყო.

2016 წლის 1 აპრილის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის (N3) მიხედვით გადაწყდა, რომ შპს „ნოვატორის“ მიერ არ საბუთდებოდა ვადის გადაწევის ობიექტური მიზეზი (ვინაიდან პრეტენდენტმა არ სისტემაში არ ატვირთა ლაბორატორიის დასკვნის ის ნაწილი, რომელიც მზად იყო) და იგი დისკვალიფიცირებული იქნა. შედეგად, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „SANDIKO“ და მასთან 2016 წლის 3 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება¹³ ღირებულებით 720.0 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელების პროცესში დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ არ იქნა გათვალისწინებული შესყიდვების რაციონალურად განხორციელების განსაზღვრული¹⁴ მოთხოვნა შემდეგი გარემოებების გამო:

- სატენდერო კომისიამ დაუსაბუთებლად მიიჩნია შპს „ნოვატორის“ მიერ მოთხოვნილი ვადის გადაწევის მიზეზი, მაშინ როცა პრეტენდენტმა განმარტა თუ რატომ ითხოვდა ვადის გადაწევას;
- 5 დღიანი ვადის გადაწევა მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ მოახდენდა შესყიდვის განხორციელების პროცესზე.

ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელებისას არსებობდა შესაძლებლობა, რომ დეპარტამენტს დაეზოგა 44.0 (720.0 - 676.0=44.0) ათასი ლარი.

ზამთრის ფებსაცმლის შესყიდვა

7,000 წყვილი ზამთრის ფებსაცმლის შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA170009341) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 484.9 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. ერთ-ერთი კომპანიის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის ხარვეზების გასაჩივრების შემდეგ სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ტენდერის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

დეპარტამენტმა განმეორებით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA170010728) იგივე შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო იმავე სამმა პრეტენდენტმა. ტენდერში დისკვალიფიცირებული იქნა სატენდერო წინადადების დაბალი ფასის მქონე (414.3 ათასი ლარი) პრეტენდენტი - შპს „კოზტრანსი“ იმ მოტივით, რომ დაზუსტებულ სატენდერო წინადადებაში დაშვებული მექანიკური (ბეჭდვითი) შეცდომა სატენდერო კომისიამ ჩათვალა სატენდერო წინადადების დაუზუსტებლობად.

¹³ Ng/01/188/54

¹⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული.

კერძოდ, საქონლის ტექნიკური აღწერილობისას „ძირითადი ღაზებისა“ და „ჩასაფენი ღაზების“ ტექნიკური მაჩვენებლების „ტენშეწოვასთან და ტენგამოდევნასთან დაკავშირებით“ მითითებულია 70მგ/სმ² და **80% ნაცვლად 70მგ/სმ² და 80 მგ/სმ²**-ისა.

გარდა ამისა, რადგან სატენდერო კომისიის მიერ მოთხოვნილი იყო ლაბორატორიული დასკვნა, პრეტენდენტს დაზუსტებულ სატენდერო წინადადებაში მითითებული ჰქონდა, რომ მონაცემები დაზუსტდებოდა ლაბორატორიული კვლევის შედეგად.

შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა სატენდერო წინადადების ყველაზე მაღალი ფასის (479.5 ათასი ლარი) მქონე პრეტენდენტი - შპს „SANDIKO“, რომელთანაც 2017 წლის 15 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება №01/188/57 ღირებულებით 479.5 ათასი ლარი.

ბეჭდვითი უზუსტობის გამო პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია იმ პირობებში, როდესაც სატენდერო წინადადების შინაარსი გასაგებია და საბოლოო გადაწყვეტილება საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით მაინც ლაბორატორიული დასკვნის შედეგზე იყო დამოკიდებული, ეწინააღმდეგება კანონმდებლობით განსაზღვრულ შესყიდვების რაციონალურად განხორციელების ვალდებულების პრინციპს. აღნიშნული გარემოების გათვალისწინების შემთხვევაში ზემოაღნიშნულ ტენდერში არსებობდა შესაძლებლობა, რომ **დეპარტამენტს დაეზოგა 65.1 (479.5 - 414.3=65.1) ათასი ლარი.**


ქურთუკების და ზამთრის ქუდების შესყიდვა

ქურთუკების (4,000 ერთეული) და ზამთრის ქუდების (2,700 ერთეული) შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA170004431) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით **365.9** ათასი ლარი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა. სატენდერო წინადადების ყველაზე დაბალი ფასების მქონე ორი პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მათ არ წარმოადგინეს საქონლის ნიმუში.

სატენდერო წინადადების შემდეგი დაბალი ფასის (323.2 ათასი ლარის) მქონე პრეტენდენტი შპს „ნიტექსი“ დისკვალიფიცირებულ იქნა იმ მოტივით, რომ დაზუსტებულ სატენდერო წინადადებაში საქონლის ზოგიერთი პარამეტრი მითითებული ჰქონდა დიაპაზონის სახით (ისევე, როგორც მოთხოვნილი იყო შემსყიდველის მიერ საქონლის აღწერისას). მაგალითად, სამხრე: სიგრძე დაახლოებით 14-16 სმ და სიგანე 4.6-4.8 სმ, სამკერდე ჟეტონის დასამაგრებელი ღილაკი: დაახლოებით 1.5 მმ დიამეტრის და ა.შ.

დიაგრამა N1: პრეტენდენტის დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაცია



იქიდან გამომდინარე, რომ შპს „ნიტექსის“ მიერ დაზუსტებულ სატენდერო წინადადებაში მითითებული ეს მონაცემები შესაძლოა შესაბამისობაში იყო სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილთან, აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის მოტივად ზემოაღნიშნული გარემოების მიჩნევა არამიზანშეწონილია. ამასთან შპს „ნიტექსის“ მიერ წარდგენილი იყო საქონლის ნიმუში, რომლის მიხედვითაც (თუ ეს მნიშვნელოვანი იყო) შესაძლებელი იყო კომისიის მიერ პარამეტრების დაზუსტება.

შპს „ნიტექსმა“ კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება (ზომების დიაპაზონში წარდგენის გამო დისკვალიფიკაცია) გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვების დავების განხილვის საბჭოში. საბჭომ ნიტექსის საჩივარი არ დააკმაყოფილა, რაც იმას გულისხმობს რომ ის დაეთანხმა სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას რომლის მიხედვითაც პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა დაზუსტებული პარამეტრები. შპს „ნიტექსის“ დისკვალიფიკაციის შემდეგ მორიგმა პრეტენდენტმა - შპს „SANDIKO“-მ წარმოადგინა დაზუსტებული სატენდერო წინადადება (ღირებულებით 349.8 ათასი ლარი), რომელშიც საქონლის პარამეტრები მითითებული ჰქონდა, როგორც წინა დისკვალიფიცირებულ პრეტენდენტს - დიაპაზონის სახით (მაგალითად,სამხრე: სიგრძე 14-16 სმ და სიგანე 4.6-4.8 სმ, ელვა შესაკრავზე დამუშავებული ჭრილების სიგრძე 17-20 სმ და ა.შ.). მიუხედავად ამისა, შპს „SANDIKO“-ს მიმართ არ გავრცელებულა იგივე მიდგომა, რაც წინა პრეტენდენტის მიმართ და ის გამარჯვებულად გამოცხადდა¹⁵.

დეპარტამენტის განმარტებით „სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით სატენდერო წინადადებაში გამოყენებული ტერმინები: დაახლოებით, მიახლოებით და ა.შ. შესაძლებელია გასცდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ დიაპაზონს, რაც შეეხება მომდევნო დაბალფასიანი პრეტენდენტის, შპს „SANDIKO“-ს მიერ წარმოდგენილ დაზუსტებულ სატენდერო წინადადებას, მას აქვს წარმოდგენილი დიაპაზონი, რომელიც არ გაცდება სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პარამეტრებს. მის მიერ მითითებული პარამეტრები შეიცვლება ზომების მიხედვით, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში იქნება.“

ზემოაღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით რაციონალური მიდგომის შემთხვევაში არსებობდა 26.6 ათასი ლარის (349.8 - 323.2=26.6) ეკონომიის შესაძლებლობა.

¹⁵ 2017 წლის 27 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება №01/182/36 ღირებულებით 349.8 ათასი ლარი.

კვამლის დეტექტორების შესყიდვა


სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაციას ამტკიცებს სატენდერო კომისია, ხოლო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების აღწერას¹⁶. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციების შესაბამისად, შესყიდვის წინამოსამზადებელ ეტაპზე შემსყიდველმა უნდა განსაზღვროს საჭიროებები და ფასი, რაც ბაზრის კვლევის შედეგად მიიღწევა.

კვამლის დეტექტორების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში დეპარტამენტის მიერ ვერ დასაბუთდა შესყიდვის ობიექტების ტექნიკური მახასიათებლების აუცილებლობა. თავის მხრივ ტექნიკური მახასიათებლების არასათანადო ჩამოყალიბება აისახა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაზეც.

2,000 ცალი კვამლის დეტექტორის შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA160003215) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 120.0 ათასი ლარი (ერთეულის ფასი 60 ლარი). კვამლის დეტექტორის დაცულობის მაჩვენებელი მოთხოვნილი იყო შემდეგი - **IP25**.¹⁷ გამოცხადებული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, ვინაიდან სატენდერო კომისიის მიერ განსაზღვრული მახასიათებელი (IP25) ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ წარმოადგინა.

დეპარტამენტმა აღნიშნული პროდუქციის შესასყიდად ხელმეორედ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA160018398) შესყიდვის იგივე სავარაუდო ღირებულებით - 120.0 ათასი ლარი, თუმცა კვამლის დეტექტორის მოთხოვნილი დაცულობის მაჩვენებელი ამ შემთხვევაში იყო **IP23D**.

ცხრილი N5: ტენდერების განხორციელების შედეგები



¹⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით.

¹⁷ წარმოადგენს დეტექტორის დაცულობის მაჩვენებელს

როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ ტენდერში პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის მიზეზს შეთავაზებული საქონლის დაცულობის მაჩვენებლის მოთხოვნილთან (IP25) შეუსაბამობა წარმოადგენდა, აღნიშნულ სპეციფიკაციაში მეოთხე სიმბოლო - „5“ სითხის შეღწევის მიმართ დაცულობის კოეფიციენტი (5 ნიშნავს მეტ დაცულობას, 4 ნაკლებს და ა.შ.). მეორე ტენდერის გამოცხადებისას სითხის შეღწევის მიმართ დაცულობის კოეფიციენტის მოთხოვნა „შემსუბუქებულია“, (IP25 დან IP23-მდე), თუმცა სპეციფიკაციას დამატებული აქვს მეხუთე სიმბოლო - D, რომელიც აღნიშნავს დეტექტორში წვეტიანი საგნების შეღწევისგან დაცულობას, რაც კავშირში არ არის სითხის შეღწევის დაცულობასთან და ამ პარამეტრის აუცილებლობა დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული (განსაკუთრებით კვამლის დეტექტორის ფიზიკური მდებარეობის გათვალისწინებით).

განმეორებით ტენდერში სატენდერო კომისიის მიერ განსაზღვრული საქონლის ტექნიკური პარამეტრი, ასევე შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ემთხვევა ერთ-ერთი პრეტენდენტის მიერ პირველ ტენდერში წარდგენილ სატენდერო წინადადების მონაცემებს. საბოლოოდ შესყიდვა სწორედ პირველ ტენდერში დაფიქსირებული ყველაზე მაღალი შეთავაზების ფასით განხორციელდა (ერთეული 60 ლარი), რაც ძირითადად „D“ მახასიათებლის დამატებამ გამოიწვია. როგორც აღინიშნა მისი აუცილებლობა ვერ იქნა დასაბუთებული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეორე ტენდერის გამოცხადებამდე არ იქნა გათვალისწინებული პირველი ტენდერის გამოცხადებისას პრეტენდენტების მიერ დაფიქსირებული დაბალი ფასები.

აღნიშნული შესყიდვის სწორი მართვის შემთხვევაში (რაც გულისხმობს საჭროებების სწორად განსაზღვრას, ბაზრის სათანადო კვლევას) არსებობდა შესაძლებლობა, რომ დაზოგილი ყოფილიყო **ფულადი სახსრები მინიმუმ 40.0 ათასი ლარიდან 84.5 ათას ლარამდე ოდენობით.**¹⁸

ტექნიკური პარამეტრების და შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის თვალსაზრისით, ანალოგიური იყო მიდგომა 1000 ერთეული კვამლის დეტექტორის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კიდევ ერთ ტენდერში (SPA170012394), შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 60.0 ათასი ლარი.

დასკვნა

გარკვეულ შემთხვევებში, ტენდერებში სატენდერო კომისიის მიერ მიღებული არამიზანშეწონილი და არარაციონალური გადაწყვეტილებების შედეგად, რაც გამოიხატება პრეტენდენტთა ბეჭდვითი და ტექნიკური უზუსტობების, ასევე ვადების გახანგრძლივების მოთხოვნის გამო პრეტენდენტთა არაარგუმენტირებულ დისკვალიფიკაციაში, უგულებელყოფილია მინიმუმ **175.8 ათასი ლარის** ეკონომიის მიღების შესაძლებლობა, (მათ შორის: ფეხსაცმელების შესყიდვისას - 44.0 ათასი ლარის, ზამთრის ფეხსაცმელების შესყიდვისას - 65.2 ათასი ლარის, ქურთუკების და ზამთრის ქუდების შესყიდვისას 26.6 ათასი ლარის, კვამლის დეტექტორების შესყიდვისას მინიმუმ 40.0 ათასი ლარის), შედეგად აღნიშნული შესყიდვების განხორციელებით, რესურსები არარაციონალურად დაიხარჯა.

¹⁸ ტენდერში რამდენიმე პრეტენდენტი მონაწილეობდა, შესაბამისად მათ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებებით შესაძლებელი იყო მინიმუმ 40.0 ათასი ლარის ეკონომიის მიღება.

რეკომენდაცია

სატენდერო კომისიის მიერ ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვისთვის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია რომ:


- ტენდერების მიმდინარეობისას მაქსიმალურად იქნას შეზღუდული სატენდერო წინადადების წარმდგენი პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია არაარსებითი სახის შეცდომების (ბეჭდვითი უზუსტობები, ტექნიკური ხარვეზი რომლის დაზუსტებაც არ წარმოადგენს სირთულეს) გამო;
- სატენდერო წინადადებების დაზუსტებისას პრეტენდენტებს (მათი არგუმენტირებული მოთხოვნის შემთხვევაში) მიეცეთ კანონმდებლობით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადები დოკუმენტაციის წარდგენისა და დაზუსტებისთვის;
- სატენდერო წინადადების გამოქვეყნებამდე მოხდეს ბაზრის წინასწარი სრულყოფილი შესწავლა, საჭირო ტექნიკური მახასიათებლების დასაბუთება ან/და ამ მიმართულებით არსებული წინა გამოცდილების გათვალისწინება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციების შესაბამისად.

2.3 პრეტენდენტებისადმი მოთხოვნებსა და შესყიდვის ობიექტის აღწერაში არსებული ხარვეზები

როგორც აღინიშნა შესყიდვების კანონის ერთ-ერთ მიზანს სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამუშაოს შესრულების სფეროში **ჯანსაღი კონკურენციის** განვითარება წარმოადგენს. შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციასა და აღწერილობას განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისას. აღნიშნული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული ტენდერების **40%-ში** მონაწილეობას მხოლოდ ერთი პრეტენდენტი იღებდა, შესაბამისად ტენდერების მნიშვნელოვანი ნაწილი არაკონკურენტულ გარემოში წარიმართა. ტენდერებში, რომელშიც მონაწილეობას 1 პრეტენდენტი იღებდა ფასის კლება თითქმის არ იყო, მაშინ როდესაც კონკურენტული ტენდერები მნიშვნელოვანი ეკონომიებით ხასიათდებოდა.

დიაგრამა N2: ეკონომიის ზრდა კონკურენციის პირობებში



შესყიდვების ანალიზისას გამოვლინდა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ფიქსირდებოდა პრეტენდენტების მიმართ მოთხოვნებისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა, ან ზედმეტი, არააუცილებელი მოთხოვნების განსაზღვრის¹⁹ შემთხვევები, რაც იწვევდა კონკურენციის შეზღუდვას, სატენდერო წინადადების დაბალი ფასების მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაციას და შესყიდვების მაღალ ფასად განხორციელებას. შედეგად, შეიზღუდა შესაძლებლობა 582.0 ათასი ლარის შესყიდვისას განხორციელებულიყო 157.7 ათასი ლარის ეკონომია. **მაგალითად:**

საველე უნიფორმის შესყიდვა

დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა 2,300 კომპლექტი საველე უნიფორმის შესყიდვის მიზნით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA170001890) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით **172.5 ათასი ლარი**. გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტებად მოთხოვნილი იყო როგორც საქონლის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტები), ასევე გაფორმებული ხელშეკრულებები. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა. სატენდერო წინადადების ყველაზე დაბალი ფასის (141.4 ათასი ლარი) მქონე ზემოაღნიშნული პრეტენდენტი შპს „ყველა სეზონი“ დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტად წარდგენილი ჰქონდა მხოლოდ ელექტრონული ფორმით გამოწერილი სასაქონლო ზედნადები (426.3 ათასი ლარის ქურთუკების მიწოდებაზე) და არ ჰქონდა წარდგენილი ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი. სხვადასხვა მიზეზით დისკვალიფიცირდნენ ასევე შპს „ვორლდ სერვისი“ და შპს „SANDIKO“. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა სატენდერო წინადადების ყველაზე მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტი შპს „მოდელის სახლი მატერია“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 149.5 ათასი ლარი.

აღნიშნული მიმართულებით გამარტივებულ პრაქტიკას იყენებდა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი. პრეტენდენტების მიმართ მოთხოვნებისადმი გამარტივებული მიდგომის შემთხვევაში (ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების მოთხოვნის გარეშე) არსებობდა შესაძლებლობა დაზოგილიყო ფულადი სახსრები (8.1 ათასი ლარი).²⁰

ტონერიანი კარტრიჯების შესყიდვა

ტონერიანი კარტრიჯების შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა 2016 წლის 5 თებერვალს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA160004340) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 217.7 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით განისაზღვრა, რომ

¹⁹ მაგალითად, ხშირ შემთხვევებში გამოცდილების დასადასტურებლად შემსყიდველები თხოულობენ როგორც ანგარიშ-ფაქტურებს და სასაქონლო ზედნადებებს, ასევე ხელშეკრულებებსაც. ზოგჯერ კომპანიები კერძო სექტორში ურთიერთობისას არ აფორმებენ ხელშეკრულებებს და საქონლის მიწოდებას და ანგარიშსწორებას აწარმოებენ მხოლოდ საგადასახადო ორგანოებში ელექტრონულად რეგისტრირებული და დადასტურებული ანგარიშ-ფაქტურების და სასაქონლო ზედნადებების საფუძველზე. ხელშეკრულებების წარმოდგენის მოთხოვნით შესაძლოა შეიზღუდოს კონკურენცია.

²⁰ სპეციალური ტანსაცმლის და აქსესუარების შესყიდვის მიზნით სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA170006461) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 92.0 ათასი ლარი, გამოცდილების დასადასტურებლად მოთხოვნილი იყო მხოლოდ ბანკის მიერ დამოწმებული 100.0 ათასი ლარის ფინანსური ბრუნვის დოკუმენტი (რაც მიზანშეწონილია, რადგან არ მოითხოვს ზედმეტ პროცედურებს). აღნიშნულ ტენდერში გაიმარჯვა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ დისკვალიფიცირებულმა პრეტენდენტმა და ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა.

საქონელი უნდა ყოფილიყო ქარხნული წარმოების ორიგინალი, ასევე, HP-ის და Xerox-ის ბრენდის კარტრიჯებს უნდა ჰქონოდა მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა (MAF²¹), ხოლო Canon-ის ტექნიკისთვის ასეთი მოთხოვნა დაწესებული არ იყო.

ცხრილი N6: მახასიათებლების არაერთგვაროვანი მოთხოვნა შემსყიდველის მიერ

მოდელის დასახელება	მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა (MAF)
HP	✓
XEROX	✓
CANON	✗

სატენდერო დოკუმენტაციით, ასევე, განსაზღვრული იყო ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება პრეტენდენტის მიერ სავარაუდო ღირებულებაზე 20%-ით ნაკლები ფასის წარმოდგენის შემთხვევაში.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები: შპს „მაჭახელი“ - 151.0 ათასი ლარი, შპს „მბს“ - 217.7 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით²² სატენდერო წინადადების დაბალი ფასის მქონე შპს „მაჭახელი“ დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მან მითითებულ ვადაში არ წარმოადგინა მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა (MAF), ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება და საქონლის ნიმუშები²³. შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „მბს“, რომელთანაც 2016 წლის 25 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 217.7 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ ტონერიანი კარტრიჯების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ სხვადასხვა ტენდერებში კონკრეტულ წელს მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ განსაზღვრულია არაერთგვაროვნად (რაც დასაბუთებული ვერ იქნა). კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში მოთხოვნილი არ არის მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა (MAF), ხოლო ზოგჯერ მოთხოვნილია ნაწილობრივ. აღნიშნული ტიპის მოთხოვნები ართულებს ტენდერში მონაწილეობის მიღებას და შესაბამისად იზღუდება კონკურენცია.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე პრეტენდენტებისადმი მოთხოვნების მიმართ ერთგვაროვანი და არგუმენტირებული მიდგომის, ასევე კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედების შემთხვევაში არსებობდა შესაძლებლობა რომ **ტენდერში SPA160004340 დაზოგილი ყოფილიყო ფულადი სახსრები 66.7 ათასი ლარის ოდენობით (217.7 - 151.0=66.7).**

დეპარტამენტის მიერ MAF-ის წარმოდგენასთან დაკავშირებული მოთხოვნები შესაბამისობაში არ იყო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, რაც დაადასტურა სახელმწიფო შესყიდვები დავების განმხილველი საბჭოს გადაწყვეტილებამაც, **კერძოდ:**

²¹ აღნიშნული ფორმა ივსება მწარმოებლის მიერ და ადასტურებს პარტნიორისთვის კონკრეტულ პროდუქციასთან დაკავშირებულ გარიგებაზე უფლებამოსილების მინიჭებას.

²² (ოქმი N3, 10.03.2016)

²³ ერთ-ერთი დოკუმენტის ვერ წარმოდგენამ (მაგალითად MAF) შესაძლოა განაპირობოს სხვა დოკუმენტების არ წარმოდგენა, რადგან 1 დოკუმენტის არ ქონის შემთხვევაში სხვა დოკუმენტის წარმოდგენა აზრს კარგავს.

კარტრიჯების შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა 2016 წლის ბოლოს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA160027389) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 76.6 ათასი ლარი. შესასყიდი იყო ქარხნული წარმოების „ორიგინალი“ 6 სახეობის კარტრიჯი ჯამურად 245 ცალი „ორიგინალი“ გულისხმობდა ტექნიკის მწარმოებლის მიერ დამზადებულს, ან ამავე მწარმოებლის მიერ სერტიფიცირებული კომპანიის მიერ დამზადებულ კარტრიჯს. ამასთან ერთად პრეტენდენტებისგან მოთხოვნილი იყო მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა (MAF). ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთადერთმა პრეტენდენტმა - შპს „მბს“-მ, რომელმაც დააფიქსირა სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების ფასი.

სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული კარტრიჯების „ორიგინალურობის“ და პრეტენდენტებისგან MAF-ის მოთხოვნა დავების განხილვის საბჭოში გაასაჩივრა შპს „ფორსმა“ იმ მოტივით, რომ ეს წარმოადგენდა მითითებას მწარმოებელზე. საბჭომ დააკმაყოფილა საჩივარი და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული აღნიშნული მოთხოვნები უკანონოდ მიიჩნია²⁴. საჩივრის დაკმაყოფილების შემდგომ დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება ტენდერის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

იგივე შესყიდვის მიზნით (უფრო მეტი მოცულობით) დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA170001728) დაახლოებით იგივე შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით - 77.9 ათასი ლარი. ამჯერად შესასყიდი იყო 12 სახეობის კარტრიჯი ჯამურად 1475 ცალი (რომლებიც მოიცავდა წინა ტენდერში მოთხოვნილ 6 სახეობასაც). ტენდერში კონკურენცია გაიზარდა და მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ტენდერში გაიმარჯვა შპს „აქსელმა“, რომელთანაც 2017 წლის 14 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება²⁵ ღირებულებით 62.3 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ კანონმდებლობის შეუსაბამოდ შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის არ გასაჩივრების შემთხვევაში, შესყიდვა განხორციელდებოდა ბევრად მაღალ ფასად. კერძოდ, შეწყვეტილ ტენდერში მოთხოვნილი საქონლის სახეობებისა და რაოდენობებზე გაანგარიშებით ფასებს შორის სხვაობა შეადგენს 60.4 ათას ლარს:

ცხრილი N7: შპს „მბს“ და შპს „აქსელი“ ფასები (ლარებში)

ლაზერული პრინტერი	კარტრიჯის რაოდენობა	შპს მბს		შპს აქსელი		ერთეულის ფასებს შორის სხვაობა %
		ერთ ფასი	სულ ფასი	ერთ ფასი	სულ ფასი	
პრინტერი HP LJ 1010	100	182.5	18250	29	2900	84%
პრინტერი HP LJ P1102	140	166	23240	29	4060	83%
პრინტერი Xerox 3117	50	309	15450	54	2700	83%
პრინტერი MFP M521	15	691	10365	90	1350	87%
პრინტერი Pantum p2500	30	190	5700	151	4530	21%
ასლგადამღები RUNNER	10	356	3560	60	600	83%

²⁴ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება შპს „ფორსის“ მიერ წარმოდგენილ DIS160027389_01 საჩივართან დაკავშირებით, 2016 წლის 6 დეკემბერი.

²⁵ 2017 წლის 14 მარტის ხელშეკრულება N01/301/18

სათვალთვალო დაცვის სისტემის შესყიდვა

სათვალთვალო დაცვის სისტემის შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA160028324) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 115.4 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს სატენდერო წინადადების შემდეგი ფასები:

- შპს „ჯი ეს სი“ - 108.9 ათასი ლარი და,
- შპს „ნეოტექი“ - 115.4 ათასი ლარი.

ორივე პრეტენდენტი დისკვალიფიცირდა ერთი და იგივე მიზეზით, კერძოდ, იმ მოტივით, რომ შეთავაზებული ტექნიკის ერთ-ერთი კომპონენტის - გარე გამოყენების კამერის (ბულეტის) ტექნიკური მახასიათებელი „გაფართოება“ (1920 x1080@25კ/წმ) არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილს (1980 x1080@25კ/წმ), რაც დადასტურდა პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ნიმუშებიდან მოგვიანებით, თუმცა ორივე პრეტენდენტს ტექსტობრივად მახასიათებლად წარმოდგენილ წინადადებაში მითითებული ჰქონდა მოთხოვნილი პარამეტრი 1980x1080@25კ/წმ, რაც არასწორი იყო. შედეგად ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

იგივე შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა განმეორებით გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA160029616). სატენდერო დოკუმენტაციით ამჯერად მოთხოვნა შეიცვალა და ზემოაღნიშნული პარამეტრი შეიცვალა 1920x1080@25კ/წმ-ით. შესაბამისად, ის პარამეტრი, რომლის შეთავაზებისთვისაც დისკვალიფიცირდნენ წინა ტენდერში პრეტენდენტები. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ნეოტექი“, რომელმაც გაიმარჯვა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების ღირებულებით და მასთან გაფორმდა ხელშეკრულება.²⁶

აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ შესყიდვის ობიექტის აღწერა საჭიროებიდან არ გამომდინარეობდა. კერძოდ არ არის არგუმენტირებული და დასაბუთებული, თუ რატომ იყო საჭირო კონკრეტული პარამეტრი პირველ ტენდერში და რატომ შეიცვალა ის მეორეში. შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებით სწორი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პირველ ტენდერში გაიმარჯვებდა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი და შეიქმნებოდა შესაძლებლობა დაზოგილიყო 6.5 ათასი ლარი (115.4-108.9=6.5).

სარეკლამო მომსახურების შესყიდვა

მომსახურების შესყიდვისას მიზანშეწონილია დასაბუთებული იყოს მისი საჭიროება და მიზანი, ასევე კონკრეტული სატენდერო მოთხოვნების რელევანტურობა. დეპარტამენტის სარეკლამო ტენდერების²⁷ ანალიზიდან გამოვლინდა რომ შემსყიდველის მიერ არ იყო დასაბუთებული სარეკლამო მომსახურების შესყიდვის აუცილებლობა.

დასკვნა

საჭიროებების არასწორი განსაზღვრით, პრეტენდენტებისადმი მოთხოვნების და შესყიდვის ობიექტის აღწერისადმი არაერთგვაროვანი მიდგომის შედეგად შეიზღუდა შესაძლებლობა, რომ განხორციელებულიყო 157.7 ათასი ლარის ეკონომია (მათ შორის:

²⁶ 2016 წლის 15 დეკემბრის №02/351/93.

²⁷ SPA170004516 და SPA170006043

საველე უნიფორმის შესყიდვისას - 8.1 ათასი ლარის, ტონერიანი კარტრიჯების შესყიდვისას - 66.7 ათასი ლარის, სათვალთვალო დაცვის სისტემის შესყიდვისას - 6.5 ათასი ლარის, ხოლო სარეკლამო მომსახურებების შესყიდვისას - 76.4 ათასი ლარის,).

რეკომენდაცია


კონკურენტული და ეკონომიური შესყიდვების განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია დეპარტამენტმა სატენდერო დოკუმენტაციებით საკვალიფიკაციო მოთხოვნები (პრეტენდენტის გამოცდილების, ფინანსური ბრუნვის და სხვა ტიპის მოთხოვნები) განსაზღვროს არგუმენტირებულად, პროპორციულობის პრინციპის დაცვით; ასევე შესყიდვის ობიექტების აღწერა მოხდეს არგუმენტირებულად, არააუცილებელი მოთხოვნების გარეშე.

2.4 დაჯავშნული ავტომანქანების შესყიდვა

აუდიტის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვა (ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე) შესაძლოა განხორციელდეს იმ შემთხვევაში თუ: „ხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, ჩანაცვლება“²⁸, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობდა იმას, რომ ავტომანქანების შესყიდვა მხოლოდ ჩანაცვლების გზით, გამარტივებული წესით განხორციელდეს. შესაბამისად, შემსყიდველი უფლებამოსილი იყო ჩატარებინა ტენდერიც.

საინკასაციო მომსახურებისთვის გათვალისწინებული დაჯავშნული 3 ერთეული პიკაპის ტიპის ახალი ავტომანქანის შესყიდვის განსახორციელებლად დეპარტამენტმა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩანაცვლების გზით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2016 წლის 13 დეკემბერს შპს „აიემ კავკასიასთან“ გააფორმა ხელშეკრულება²⁹ ღირებულებით 213.5 ათასი ევრო³⁰ (591.7 ათასი ლარი). გადასაცემი (ჩასანაცვლებელი) 3 ერთეული ავტომანქანის ღირებულებამ შეადგინა 16.5 ათასი ლარი.

ცხრილი N8: ჩანაცვლება/შესყიდვის შედეგები



²⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი“ (2017 წლის 15 ივნისამდე მოქმედი რედაქცია)

²⁹ N03/341/184

³⁰ ერთი ერთეული Ford F550, 4x4, 6.7L - 90.0 ათასი ევრო და ორი ერთეული Ford Ranger Double Cab XLT, 2.2, 4x4 თითოეული - 61.7 ათასი ევრო. ხელშეკრულების გაფორმების დღეს არსებული კურსის 2.7713 ლარი/ევრო მიხედვით - 591,7 ათასი ლარი.

ავტომანქანების შესყიდვის ტენდერით (არა გამარტივებული შესყიდვით) განხორციელების შემთხვევაში, როგორც პრაქტიკა და გამოცდილება აჩვენებს ფასის კლება საშუალოდ 2.7%-ზე ბევრად მეტია,³¹ რაც შესაძლებლობას შექმნიდა ელექტრონული ტენდერის ჩატარებით შესყიდვა უფრო ეკონომიურად განხორციელებულიყო³².

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულ ჩანაცვლებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ჯამურად მცირე ღირებულების ძველი ავტომანქანები ჩანაცვლებულია მრავალჯერ მეტი ჯამური ღირებულების ახალი ავტომანქანებით.

ასევე, ზემოაღნიშნული შესყიდვების შესაწავლისას გამოვლინდა რომ შპს „აიემ კავკასია“ „ფორდის“ მარკის ავტომანქანების (დაუჯავშნელის) შეძენას ახორციელებდა შპს „ჯი-თი მოტორსისგან“ და შემდგომ უტარებდა მათ დაჯავშნის სამუშაოებს. აღსანიშნავია, რომ მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში უშუალოდ ავტომანქანების ღირებულება არ არის გამიჯნული დაჯავშნის სამუშაოების ღირებულებისგან. არ არსებობს დაჯავშნის სამუშაოების კალკულაცია. სატენდერო დოკუმენტაციებით ვერ დგინდება თუ რა წარმოადგენს მასალის (ლითონის და მინის) ერთეულს (მ², კგ, თუ სხვა) და რამდენს შეადგენს მათი ფასები, ვერ დგინდება დამონტაჟებული ტექნიკის (ვიდეოკამერები და სხვა) და მონტაჟის ღირებულებებიც. შესაბამისად, დაჯავშნის სამუშაოების ღირებულება არ არის საკმარისად გამჭვირვალე, რაც შესყიდვების კანონის მიზნის - სახელმწიფო ფულადი სახსრების რაციონალურად ხარჯვის მისაღწევად მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

დასკვნა

ახალი დაჯავშნული ავტომანქანების შესყიდვას ჩანაცვლების გზით ფორმალური ხასიათი ჰქონდა, შედეგად შესყიდვა უფრო მაღალ ფასად განხორციელდა. ამასთან არ არის გამჭვირვალე ავტომანქანების დაჯავშნის სამუშაოების ფასწარმოქმნა.

2.5 ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვებში არსებული

ნაკლოვანებები

როგორც აღინიშნა, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახალი დაჯავშნული ავტომანქანების („Ford Transit“ და „Ford Ranger“) შეძენას ძირითადად აწარმოებდა შპს „აიემ კავკასიისგან“. შპს „აიემ კავკასია“ თავის მხრივ ავტომანქანების (დაუჯავშნელის) შეძენას ახდენდა შპს „ჯი თი მოტორსისგან“ და შემდგომ უტარებდა დაჯავშნის სამუშაოებს. ავტოტექმომსახურების შესყიდვას ახასიათებს შემდეგი ტიპის არაეკონომიურობის რისკი:

დეპარტამენტსა და შპს „აიემ კავკასიას“ შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ყველა ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს საგარანტიო პირობები, რომლის მიხედვით ამ ხელშეკრულებით დეპარტამენტი იღებდა ვალდებულებას, რომ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ავტომობილს *ნებისმიერი სახის ტექნიკურ*

³¹ სხვა ორგანიზაციების ტენდერები: N GEO180000396, , SPA180005672, SPA180005276, SPA180006301

³² აღნიშნული თემა დეტალურად არის განხილული სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2010-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. ზემოაღნიშნული შესყიდვის დროს რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის.

მომსახურებას ჩაუტარებდა და ნებისმიერ სათადარიგო ნაწილს³³, გარდა საბურავისა შეიძენდა მხოლოდ შპს „ჯი-თი მოტორსის“ სერვის ცენტრებში.

შედეგად, შემსყიდველი ვალდებული იყო მომსახურება შეემძინა შპს „ჯი თი მოტორსი“-სგან, ამიტომ ის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დამატებით ხელშეკრულებებს (თანდართული პრეისკურანტით) აფორმებდა შპს „ჯი თი მოტორსთან“, ³⁴ რომლისგანაც გარკვეული პროდუქტისა და თანმდევი მომსახურების შესყიდვა ხდებოდა ბაზარზე არსებულზე მაღალი ფასით. **მაგალითისთვის:** დეპარტამენტი სხვა შემთხვევებში (არასაგარანტიო პერიოდში გამოსაყენებლად) სამუხრუჭე ხუნდების შეძენას (მათ შორის დაჯავშნული ავტომანქანებისთვის) აწარმოებს დამოუკიდებლად, ელექტრონული ტენდერების საშუალებით, ხოლო შეძენილი ხუნდების მონტაჟს აწარმოებს საკუთარი ძალებით (საკუთარ ავტოფარეხში), ან სხვა სერვის ცენტრების საშუალებით. შესაბამისად ამ გზით მას ხუნდებიც და თანმდევი მომსახურებაც შპს „ჯი-თი მოტორსის“ ფასებთან შედარებით გაცილებით ნაკლები უჯდება.

ცხრილი N9: საგარანტიო პერიოდში შპს "ჯი-თი მოტორსისგან"³⁵ გამარტივებული შესყიდვით შეძენილი ხუნდების ფასების შედარება ტენდერებით შეძენილის ფასებთან (ლარებში)

შესყიდვის ტიპი	მიმწოდებელი	Ford Transit	Ford F-550	Ford Ranger
გამარტივებული შესყიდვა N03/501/67, 18.03.2016	შპს "ჯი თი მოტორს"	270-586 ლარი ³⁶	-	-
გამარტივებული შესყიდვა N03/501/133, 18.10.2017	შპს "ჯი თი მოტორს"	299 ლარი	451 ლარი	520-647 ლარი
ტენდერი SPA140004467	შპს "გმ აუტო"	32-50 ლარი	-	50-135 ლარი
ტენდერი SPA150007583	ი/მ თ. სუხიაშვილი	36-47 ლარი	-	60 ლარი
ტენდერი SPA170008715	შპს "მაქსი"	50-65 ლარი	-	90 ლარი
ტენდერი SPA170001347	შპს "მოტორსტარი"	95-100 ლარი	-	143 ლარი

შპს „ჯი-თი მოტორსის“ შესყიდვის (იმპორტის) დოკუმენტების მიხედვით ზემოაღნიშნული ხუნდების ერთეულის (კომპლექტის) თვითღირებულებამ გაცვლითი კურსის გათვალისწინებით შეადგინა საშუალოდ 135 ლარი, ხოლო გასაყიდმა ფასმა საშუალოდ დაახლოებით 450 ლარი (2-ვე მოდელის ავტომანქანაზე), რაც 3-ჯერ აღემატება თვითღირებულებას.

დაჯავშნული „Ford Transit“-ების და „Ford Ranger“-ებისთვის (ჯამურად 48 ერთეული³⁷) საგარანტიო პერიოდში შპს „ჯი თი მოტორსისგან“ შესყიდულ ხუნდებზე გაწეული

³³ ფლობის ღირებულება განმარტებით მოიცავს გაცილებით ნაკლები , თუმცა ძირითადი საგარანტიო მომსახურების გაწევას.

³⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

³⁵ შპს „ჯი თი მოტორსის“ შესყიდვის (იმპორტის) დოკუმენტების მიხედვით ზემოაღნიშნული ხუნდების ერთეულის (კომპლექტის) თვითღირებულებამ გაცვლითი კურსის გათვალისწინებით შეადგინა 128.5, 126.5 და 152.5 ლარი, რაც მნიშვნელოვნად დაბალია გასაყიდ ფასებთან შედარებით (საბაჟო დეკლარაციები: C2752, 26.01.2015წ. - 150 ერთეული; C4170, 03.02.2015წ. - 248 ერთეული და C14919, 02.04.2015წ. - 252 ერთეული, თანდართული ინვოისებით).

³⁶ ავტომანქანები განსხვავდება ძრავის მოცულობით, ამიტომ თითოეულ შემთხვევაში წარმოდგენილია ხუნდების ღირებულება სხვადასხვა ძრავის მოცულობის მიხედვით.

³⁷ ის ავტომანქანები, რომლებზეც 2016-2017 წლებში ვრცელდებოდა ან გადმოდიოდა საგარანტიო ვადა.

ხარჯების³⁸ ტენდერების საშუალებით შესყიდვულთან შედარებით ვიღებთ მიახლოებით შედეგს:

ცხრილი N10: საგარანტიო პერიოდში შპს „ჯი თი მოტორსისგან“ შესყიდულ ხუნდებისა და ტენდერებით შესყიდული ხუნდების ანალიზი

ავტომანქანა	Ford Transit	Ford Ranger
საგარანტიო პერიოდში გამოცვლილი წინა ხუნდების რაოდენობა	492	79
წინა ხუნდების ერთეულის საშუალო ფასი (შპს "ჯი თი მოტორსი")	351.9	639.28
სულ წინა ხუნდების შპს "ჯი თი მოტორსის" ფასი	173,134.8	50,503.3
წინა ხუნდების ერთეულის სატენდერო მაქსიმალური ფასი	100.0	143.00
სულ წინა ხუნდების სატენდერო მაქსიმალური ფასი	49,200.0	11,297.0
წინა ხუნდებით დანაზოგის შესაძლებლობა	123,934.3	39,206.3
საგარანტიო პერიოდში გამოცვლილი უკანა ხუნდების რაოდენობა	341	35
უკანა ხუნდების ერთეულის საშუალო ფასი (შპს "ჯი თი მოტორსი")	282.5	517.1
უკანა ხუნდების ერთეულის სატენდერო მაქსიმალური ფასი	100.0	143.0
სულ უკანა ხუნდების შპს "ჯი თი მოტორსის" ფასი	96,332.5	18,095.0
სულ უკანა ხუნდების სატენდერო მაქსიმალური ფასი	34,100.0	5,005.0
უკანა ხუნდებით დანაზოგის შესაძლებლობა	62,232.5	13,090.0
სულ დანაზოგი ორივე ტიპის ხუნდებისთვის	238,463.1	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ხუნდების ტენდერის გზით შესყიდვის შემთხვევაში მხოლოდ ხუნდების ღირებულებიდან ორივე მოდელის ავტომანქანებზე მიღებული იქნებოდა ეკონომია 200.0 ათას ლარზე მეტი. გარდა ამისა, ინვოისებში დაფიქსირებული გარბენის მაჩვენებლების (ხუნდების გამოცვლიდან გამოცვლამდე) ურთიერთშედარებით აღმოჩნდა, რომ შპს „ჯი თი მოტორსის“ სერვის ცენტრებში გამოცვლილ ხუნდებსა და ტენდერებით შესყიდულს შორის ამ მხრივ განსხვავება არ არსებობდა.

მაგალითად, ერთ-ერთი ავტომანქანის („Ford Transit“ სახელმწიფო ნომერი SP637SP) წინა ხუნდების გარბენის მაჩვენებლებს დროის კონკრეტულ მონაკვეთებში შემდეგი სახე აქვს:

ცხრილი N11. ავტომანქანა „Ford Transit“ სამუხრუჭე წინა ხუნდების გარბენები (კმ)

	ტექნიკური მომსახურების განმახორციელებელი	დოკუმენტი	სპიდომეტრის ჩვენება ხუნდების გამოცვლისას	ჩვენება წინა გამოცვლისას	გარბენი
1	შპს „ჯი თი მოტორსი“	ინვოისი 337775	7153	2905	4248
2	შპს „ჯი თი მოტორსი“	ინვოისი 338513	11870	7153	4717
3	შპს „ჯი თი მოტორსი“	ინვოისი 339183	16570	11870	4700
4	შპს „ჯი თი მოტორსი“	ინვოისი 340361	21720	16570	5150
5	შპს „ჯი თი მოტორსი“	ინვოისი 341170	28170	21720	6450
6	შპს „ჯი თი მოტორსი“	ინვოისი 342637	34500	28170	6330
7	საკუთარი ძალებით	შეკვეთ ფურც 438	109288	104437	4851
8	საკუთარი ძალებით	შეკვეთ ფურც 630	113330	109288	4042
9	საკუთარი ძალებით	შეკვეთ ფურც 809	118280	113330	4950
10	საკუთარი ძალებით	შეკვეთ ფურც 964	123308	118280	5028
11	საკუთარი ძალებით	შეკვეთ ფურც 1133	127200	123308	3892
12	საკუთარი ძალებით	შეკვეთ ფურც 1351	133200	127200	6000

³⁸ დღგ-ს ჩათვლით.

როგორც ცხრილიდან ჩანს შპს „ჯი თი მოტორსის“ სერვის ცენტრებში გამოცვლილი და საკუთარი ძალებით გამოცვლილი (ტენდერებით შესყიდული) ხუნდების გარბენები დაახლოებით ერთი და იგივეა. აღსანიშნავია რომ ზემოაღნიშნული კომპანია ამავე პირობით (ვალდებულება, რომ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ავტომობილის ნებისმიერი სახის ტექნიკურ მომსახურებას ჩაუტარდება და ნებისმიერი სათანადო ნაწილის შესყიდვა მოხდება მხოლოდ შპს „ჯი თი მოტორსის“ სერვის ცენტრებში) აფორმებს ხელშეკრულებებს სხვა სუბიექტებთანაც (მათ შორის სახელმწიფო უწყებებთან) და აღნიშნული არ წარმოადგენს მხოლოდ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პრობლემას, თუმცა **ვინაიდან დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ავტოპარკი და მისი სპეციფიკა (ხუნდების ცვეთა) სხვა უწყებებისგან განსხვავებით გაცილებით მნიშვნელოვან დანახარჯებს უკავშირდება**, მიზანშეწონილია არსებული დანახარჯების რაციონალიზაციაზე დეპარტამენტმა მიიღოს შესაბამისი ზომები, კერძოდ:

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების³⁹ მიხედვით განისაზღვრა ავტომობილების შესყიდვა ფლობის ღირებულებით. ფლობის ღირებულების ზღვრული ოდენობა დგინდება 100 ათას კილომეტრზე ავტომობილის ექსპლუატაციით გამოწვეული საგარანტიო შესაბამისი ხარჯის და ავტომობილის შესყიდვის ფასის ერთობლიობით. ფლობის ღირებულების კომპონენტები (გარდა ავტომანქანის ფასისა) მოიცავს მის შემდგომ ტექნომსახურებას⁴⁰. 100 ათას კილომეტრზე ფლობის ღირებულების ფარგლებში, მიმწოდებელი ასევე ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს წინა და უკანა ხუნდებიც საჭიროების შემთხვევაში სულ მცირე ხუთჯერ.

შესაბამისად, ავტომობილის შესყიდვისას საგარანტიო პირობები მოიცავს ხუნდების შეცვლასაც, რომლის განფასებაც მოცემულია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული ტენდერის პირობებში. შესაბამისად ეს პროცესი საკმარისად გამჭვირვალეა.

დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებზე. შესაბამისად, აღნიშნული პრაქტიკა არ გამოიყენება დეპარტამენტის მიერ, თუმცა ხარჯების რაციონალიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია დეპარტამენტმა გამოიყენოს ანალოგიური ტიპის პრაქტიკა.

დაჯავშნული ავტომანქანების არასაგარანტიო პერიოდში გასაწევი ტექნიკური მომსახურების შესყიდვა

საქართველოს კანონმდებლობის⁴¹ მიხედვით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს არა უმეტეს 5 წლის წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისთვის საჭირო სათანადო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა.

³⁹ „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“

⁴⁰ ძრავის ზეთის ხარჯი; ძრავის ზეთის ფილტრების ხარჯი; წინა და უკანა ხუნდების ხარჯი; ჰაერის და კონდინციონერის ფილტრის ხარჯი; ძრავის ღვედი.

⁴¹ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების (ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით) 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით.

საგარანტიო პერიოდის გასვლის შემდეგ ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით დეპარტამენტი აცხადებდა ტენდერებს პრეისკურანტის საფუძველზე, ხოლო 5 წლამდე ხნოვანების ავტომანქანებისთვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულებებს აფორმებდა შპს „ჯი თი მოტორსთან“.

ცხრილი N12: 2013-2014 წლების გამოშვების 17 ერთეული დაჯავშნული „Ford Transit“-ის ტექნიკური მომსახურების შესყიდვის შედარება

თარიღი - ხელშეკრულების გაფორმება	2017 წლის 16 იანვარი	2017 წლის 23 თებერვალი
შესყიდვის ტიპი	გამარტივებული შესყიდვა	ელექტრონული ტენდერი
მიმწოდებელი	შპს „ჯი თი მოტორსი“	შპს „ავტოსერვისცენტრი+“
ხელშეკრულების ღირებულება	15 ათასი ლარი	9.2 ათასი ლარი
სხვაობა	5.8 ათასი ლარი	

ცხრილი N13: 3 ერთეული დაჯავშნული „Ford Transit custom“-ის ტექნიკური მომსახურების შესყიდვის შედარება

თარიღი - ხელშეკრულების გაფორმება	2017 წლის 1 მარტი, 28 სექტემბერი	2018 წლის 16 თებერვალი
შესყიდვის ტიპი	გამარტივებული შესყიდვა	ელექტრონული ტენდერი
მიმწოდებელი	შპს „ჯი თი მოტორსი“	შპს „ავტოსერვისცენტრი+“
ხელშეკრულების ღირებულება	22.7 ათასი ლარი (2 ხელშეკრულება)	16.7 ათასი ლარი
სხვაობა	6 ათასი ლარი	

როგორც ზემოაღნიშნული ცხრილებიდან ჩანს, 5 წლამდე ხნოვანების ავტომანქანების ერთიდაიგივე მოცულობის ტექნომსახურების შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით დეპარტამენტს გაცილებით ნაკლები უჯდება. შესაბამისად, არასაგარანტიო პერიოდში 5 წლამდე ხნოვანების ავტომანქანების ტექნომსახურების შესყიდვის მიზნით ტენდერების გამოცხადების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მინიმუმ 11.8 ათასი ლარის დაზოგვა.

აუდიტის პერიოდში ტენდერების პრეისკურანტის საფუძველზე ჩატარების დროს სატენდერო წინადადების ფასის კლების გამოყენებულ მეთოდში არსებული ხარვეზი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მიხედვით, ელექტრონული ტენდერის პრეისკურანტის საფუძველზე ჩატარებისას სატენდერო კომისია სატენდერო დოკუმენტაციაში თავად განსაზღვრავს პრეისკურანტში მოცემული მომსახურების ერთეულების ღირებულების დადგენის წესს. შესაბამისად დეპარტამენტს

შეუძლია განიხილოს და დანერგოს ისეთი მოდელი, რომელიც მას მეტი ეფექტიანობის მიღწევის საშუალებას მისცემს.

ტენდერებით შესყიდვისას, პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრას დეპარტამენტი აწარმოებდა შემდეგნაირად:

- მომსახურების სხვადასხვა სახეობების მიხედვით განისაზღვრება ერთეული მომსახურებისთვის საჭირო ავტონაწილის და მისი მონტაჟის სავარაუდო ფასები;
- პოზიციების მექანიკური დაჯამებით მიიღება პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება.

ღირებულების განსაზღვრის პირველი პრინციპი (2017 წელს მოქმედი) - პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადების წარდგენა 2017 წლის განმავლობაში წარმოებდა შემდეგნაირად:

- პირველ რაუნდში პრეტენდენტს შეეძლო პრეისკურანტის ნებისმიერი პოზიციის მიხედვით დაეფიქსირებინა ნებისმიერი ფასი (სავარაუდო ღირებულების ფარგლებში);
- შემდეგ რაუნდებში ფასის კლება ხორციელდებოდა პოზიციების მიხედვით პროპორციულად პრეტენდენტის საწყისი სატენდერო წინადადებიდან გაანგარიშებით.

აღნიშნული პრინციპის მოქმედების პერიოდში დეპარტამენტის მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (SPA170009690) პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებით 441.5 ათასი ლარი, ცხრილში მოცემულია აღნიშნული შესყიდვის ფარგლებში ერთ-ერთი ავტომანქანის (Mitsubishi L-200) მომსახურების როგორც მოთხოვნილი, ასევე მიმწოდებლის შეთავაზებული ფასები:

ცხრილი N14: იშვიათად და ხშირად მოთხოვნილი ნაწილების ფასები

სათადარიგო ნაწილების დასახელება	შემსყიდველის ფასი	შეთავაზებული ფასი
იშვიათად მოთხოვნილი ნაწილები		
ძრავი (კომპლექტში)	8,371.5	2,500.0
ტრავერსი	756.5	50.0
აბს-ის ბლოკი	916.1	50.0
სამუხრუჭე ვაკუუმი	677.7	50.0
ხშირად მოთხოვნილი ნაწილები		
გარე ყუმბარა	374.3	374.3
შიდა ყუმბარა	265.95	265.95
მფრქვევანა (ფარსუნკა)	635.33	635.33

როგორც ცხრილიდან ჩანს, სატენდერო წინადადების წარდგენისას ტენდერში გამარჯვების მიზნით პრეტენდენტები პირველივე რაუნდში პრეისკურანტის ღირებულების კლებას ხშირ შემთხვევაში აწარმოებენ მომსახურების იმ ძვირადღირებული პოზიციების ხარჯზე, რომელთა საჭიროება წლის განმავლობაში შემსყიდველს შესაძლოა საერთოდ არ დაუდგეს, ან იშვიათ შემთხვევაში გამოყენებული იქნას ერთჯერადად (ამის გამო ხშირ შემთხვევაში

სთავაზობენ დემპინგურ ფასებს). ხოლო იმ პოზიციებზე, რომლებითაც სარგებლობაც შემსყიდველს წლის განმავლობაში რამდენჯერმე უწევს (მაგალითად ზეთის ან ხუნდების გამოცვლა, შიდა და გარე ყუმბარა) ფასების კლება თითქმის არ ხდება. საბოლოოდ კი ხშირად გამოყენებადი პოზიციები განსაზღვრავენ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების ოდენობას და შესაბამისად ეფექტიანობას. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი ავტონაწილის გამოყენების საჭიროება არ დამდგარა. შედეგად სწორედ ასეთ პოზიციებზე ფასების კლების ხარჯზე გამარჯვებული პრეტენდენტის პრეისკურანტის საბოლოო ღირებულებასა და სავარაუდო ღირებულებას შორის, ასევე კონკურენტის სატენდერო წინადადების ღირებულებას შორის ერთი შეხედვით მნიშვნელოვანი სხვაობები (მაგალითად 141.5 ათასი ლარის⁴² სხვაობა ერთ-ერთი ტენდერის დროს) დეპარტამენტისთვის ფინანსურად ეფექტიანობის მომტანი არ ყოფილა.

ღირებულების განსაზღვრის მეორე პრინციპი - 2018 წლიდან დეპარტამენტმა შეცვალა მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი და ფასის კლება ხორციელდება პოზიციების მიხედვით პროპორციულად, პირველივე რაუნდიდან პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებიდან გაანგარიშებით, რაც სატენდერო წინადადების ფასის კლების მეთოდის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას წარმოადგენს, თუმცა აღნიშნული მეთოდი პრეტენდენტს არ აძლევს საშუალებას თავისი სურვილით დააკლოს ფასი კონკრეტულ პოზიციას.

ღირებულების განსაზღვრის გაუმჯობესების პოტენციალი - მიზანშეწონილია დეპარტამენტმა გამოიყენოს პრეისკურანტის ღირებულების დადგენის უკეთესი მეთოდი. მაგალითად ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი. კერძოდ: მომსახურების თითოეულ სახეობას შესაძლებელია მიენიჭოს კოეფიციენტი ამ მომსახურების საჭიროების სიხშირიდან გამომდინარე⁴³. მომსახურების თითოეული სახეობის ერთეულის სავარაუდო ფასის შესაბამის კოეფიციენტზე გამრავლებით განსაზღვრული იქნება კონკრეტული მომსახურების საშუალო შეწონილი ღირებულება ფიქსირებული გარბენის შემთხვევაში, ხოლო მათი ჯამით მიღებული იქნება პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება. აღნიშნული მეთოდის უპირატესობა პროპორციული კლების მეთოდთან შედარებით არის მისი მოქნილობა, რომელიც საშუალებას მისცემს პრეტენდენტს თავისი შეხედულებით დააკლოს ფასები მომსახურების იმ სახეობებს, რომლებსაც თვითონ განსაზღვრავს და არ იქნება იძულებული განახორციელოს პარალელური კლება, რომელიც ზოგჯერ მას არ სურს და შედეგად შეიძლება საერთოდ აღარ დააკლოს ფასები. შესაბამისად, დეპარტამენტს შეუძლია განსაზღვროს პრეისკურანტის ღირებულების განსაზღვრის ამ ტიპის ან სხვა ალტერნატიული გაუმჯობესებული მეთოდი.

დასკვნა

საგარანტიო პერიოდში ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა არსებული სახით (გამარტივებული შესყიდვის წესით და იმ პირობით რომ ნებისმიერი სათადარიგო ნაწილი უნდა იქნას შესყიდული კონკრეტული პირისგან) დეპარტამენტს დამოკიდებულს

⁴² SPA170009690 პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებით 441.5 ათასი ლარი. ტენდერში გაიმარჯვა შპს

„ავტოსერვისცენტრი“-მა პრეისკურანტის საბოლოო ღირებულებით 300.0 ათასი ლარი,

⁴³ ავტომანქანის ექსპლუატაციის ინსტრუქციის და გასული წლების გამოცდილებით შესაძლებელია განისაზღვროს ფიქსირებული გარბენის პირობებში (მაგალითად 50000კმ) მომსახურების თითოეული სახეობის საჭიროების საშუალო რაოდენობა.

ხდის კონკრეტული კომპანიის ფასებზე. თავის მხრივ საგარანტიო პერიოდში კომპანიისგან შესყიდული ხუნდების ფასი მნიშვნელოვნად განსხვავდება საბაზრო ფასებისგან, რაც არაარგუმენტირებული და გაუმჭვირვალე პროცესია. დანახარჯების რაციონალიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია ავტომატური შესყიდვის განხორციელება ზღვრული ფლობის ღირებულების პრაქტიკით. გარდა ზემოაღნიშნულისა, ავტომატური ტექნიკური მომსახურების ტენდერებით შესყიდვისას, არსებობს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მეთოდის გაუმჯობესების პოტენციალი, რამაც შესაძლოა შეამციროს ამ მიმართულებით გაწეული დანახარჯები.

რეკომენდაციები

- ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, ავტომატური შესყიდვა, ძირითადად განხორციელდეს ტენდერების საშუალებით, ისე რომ, როგორც სატენდერო დოკუმენტაციით, ისე შესაბამისი ხელშეკრულებით დაკონკრეტებული იყოს ორივე მხარის უფლება-მოვალეობები, მათ შორის საგარანტიო პერიოდში დამატებითი ტექნიკური მომსახურების შესყიდვა ფასების შეთანხმების ჩათვლით (ფლობის ღირებულების მსგავსი პრაქტიკა).
- პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, დაჯავშნილი ავტომატური შესყიდვის ტენდერები გამოცხადდეს შესყიდვის ჯამური ფასის კალკულაციის მოთხოვნით, კერძოდ: ცალკე ავტომატური შესყიდვის, ცალკე დასამონტაჟებელი მასალების, ტექნიკისა და მონტაჟის ღირებულებების განფასების მოთხოვნით (ყველა ზემოაღნიშნულის ჯამით განისაზღვროს შესყიდვის სავარაუდო ღირებულება).
- ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია დეპარტამენტმა გაითვალისწინოს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მეთოდში არსებული ხარვეზი და გამოიყენოს პრეისკურანტის ღირებულების გაანგარიშების სხვა ალტერნატიული მეთოდი.

2.6. დაცვის პოლიციის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი

როგორც ცხრილი N2-დან ჩანს, დაცვის პოლიციის დეპარტამენტს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საკუთარი შემოსავლებიდან 5,707.4 ათასი ლარი ნაშთის სახით ერიცხებოდა. 2017 წლის განმავლობაში დეპარტამენტმა შემოსულობების სახით მიიღო 112,568.3 ათასი ლარი. წლის ბოლოს დეპარტამენტს ნაშთი გაეზარდა, რამაც 6,317.0 ათასი ლარი შეადგინა.

2017 წლის განმავლობაში დეპარტამენტმა გრანტის სახით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის შემადგენელ სხვა ორგანიზაციებში მიმართა 2,812.6 ათასი ლარი⁴⁴. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს 9 მლნ ლარზე მეტი ფინანსური რესურსი (შემოსულობა რომელიც მიიმართა სხვა ორგანიზაციებში, ასევე თავისუფალი ნაშთი) შემდგომი განკარგვისთვის თავისუფალი რჩება (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან იანვრის თვეში დაცვის პოლიციას შემოსავალი არ აქვს, მას საწყისი ნაშთის სახით გარკვეული თანხები სჭირდება). ამასთან,

⁴⁴ სსიპ 112-ს გადასცა 2,212.9 ათასი ლარი, ხოლო შსს ააიპ მიუდღოს სპორტულ კლუბს 599,7.0 ათასი ლარი.

დეპარტამენტს 2017 წლის განმავლობაში მიღებული აქვს საბიუჯეტო დაფინანსება 9,481.2 ათასი ლარის ოდენობით.⁴⁵

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე,⁴⁶ სსიპ-ს აქვს უფლება თავისი სახსრები გადასცეს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სისტემაში შემავალ სხვა პირს მისი მიზნების განსახორციელებლად და ფუნქციების შესასრულებლად. შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს ნორმალურ და კანონიერ პროცესს. თუმცა, ამავე კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია, ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ნაშთის ნაწილი მიიმართოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ დაცვის პოლიცია კონკრეტულ პერიოდში საკუთარი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად არ საჭიროებს დამატებით სახსრებს და მას რჩება საკმარისი თავისუფალი რესურსი, რაციონალურობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია დეპარტამენტზე კონტროლის განმახორციელებელმა სამინისტრომ შესაბამისი ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის საბიუჯეტო დაფინანსების შემცირების, ან თავისუფალი ნაშთის (ან მისი ნაწილის) სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვის შესახებ.

რეკომენდაცია

მნიშვნელოვანია დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა და სამინისტრომ უზრუნველყონ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შემოსულობებისა და გადასახდელების, ასევე მისი საქმიანობისთვის აუცილებელი ფულადი რესურსებისა და თავისუფალი ნაშთის ოდენობების გაანალიზება. ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე უზრუნველყონ გადაწყვეტილების მიღება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დეპარტამენტის დაფინანსების ოდენობის გაანგარიშებისა ან/და თავისუფალი ნაშთების ბიუჯეტში მიმართვის საკითხის შესახებ.

3. წინა აუდიტით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

GPS მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები - შესრულდა


სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დეპარტამენტის საქმიანობა GPS მომსახურებასთან (დეპარტამენტის კლიენტებს უწევს GPS მომსახურებებს) დაკავშირებული საქმიანობის ნაწილში არამომგებიანი იყო. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენდა მომსახურების ერთეულის თვითღირებულებასა და წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების საშუალო ტარიფს შორის შეუსაბამობა. ტარიფის ოდენობა იწყებოდა 20 ლარიდან (დღგ-ს ჩათვლით), თუმცა ცალკეულ შემთხვევებში გამოყენებული იყო 20 ლარზე დაბალი

⁴⁵ აღნიშნულით ფინანსდება მხოლოდ დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ასევე ეროვნული საგანძურის და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა.


⁴⁶ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი

ტარიფი, რაც იწვევდა საშუალო ტარიფის კლებას. გაცემული იყო რეკომენდაცია აღნიშნული შეუსაბამობის დარეგულირებასთან დაკავშირებით.

2017 წლის განმავლობაში ერთი ავტომანქანის მომსახურებიდან (მინიმალური ტარიფით 20 ლარი დღგ-ს ჩათვლით, **16.95 ლარი დღგ-ს გარეშე**) მიღებული ყოველთვიური შემოსავლის და ხარჯების (დღგ-ს გარეშე) ანალიზით ვიღებთ შემდეგ მიახლოებით შედეგს⁴⁷:



დეპარტამენტის მიერ 2018 წლიდან გათვალისწინებული იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და GPS მომსახურების გაწევის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში (NAT170015220 და NAT180004695) ერთეულ მომსახურებაზე შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრა 7 ლარი კავშირგაბმულობის ხარჯების ჩათვლით (დღგ-ს გარეშე 5.9 ლარი), ხოლო ტენდერის დასრულებამდე 2018 წლის 16 იანვარს გადაუღებელი აუცილებლობის მოტივით იგივე პირობებით გააფორმა ხელშეკრულება (N02/642/20) შპს „კასა ტრეიდთან“. რის შედეგადაც ხარჯები ერთეულ მომსახურებაზე შემცირდა მინიმუმ **6.0 ლარით** (დღგ-ს გარეშე), რაც მომსახურების მომგებიანობის მიღწევის საშუალებას იძლევა:



შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მდგომარეობა - ნაწილობრივ შესრულდა

წინა აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში არსებობდა ხარვეზები, რაც იწვევდა ფულადი სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას. აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებული ხარვეზი დეტექტორების შესყიდვასთან დაკავშირებით დეპარტამენტის მიერ ნაწილობრივ გამოსწორებულია.⁴⁸ მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევებში განმეორებულია შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად (გაზრდილი ოდენობით) განსაზღვრის ფაქტები (ტენდერები SPA160018398, SPA170012394).

⁴⁷ ერთეულზე მონაცემების გარკვეულ განსხვავებას გასულ პერიოდთან (2014-2015 წლები) შედარებით განაპირობებს GPS მოწყობილობის თვითღირებულება, არასრული თვეების განმავლობაში გაწეული მომსახურებები, სარეზერვოდ გააქტიურებულ სიმ-ბარათებზე გაწეული ხარჯი, 2500 ერთეულის ზევით ა/მ-ებზე მომსახურების ღირებულების ფასდაკლება და ერთეულის მიერ 150 MB-ზე მეტი მოცულობითი პაკეტის გამოყენების შემთხვევაში კავშირგაბმულობის ტარიფის ზრდა.

⁴⁸ მაგალითად, 4000 ერთეული მოძრაობის დეტექტორის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA160020847) შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 112.0 ათასი ლარით (ერთეულის ფასი 28 ლარი, ნაცვლად 60 ლარისა). ტენდერში არსებული კონკურენციის შედეგად გაიმარჯვა დაბალფასიანმა პრეტენდენტმა (ერთეულის ფასი 22.5 ლარი). ასევე, 4000 ერთეული მოძრაობის დეტექტორის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA170010782) შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 120.0 ათასი ლარით (ერთეულის ფასი 30 ლარი). ტენდერში არსებული კონკურენციის შედეგად გაიმარჯვა ასევე დაბალფასიანმა პრეტენდენტმა სატენდერო წინადადების ღირებულებით 84.3 ათასი ლარი.

საფეხბურთო კლუბების დაფინანსება - შესრულდა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა აუდიტების ანგარიშებში⁴⁹ დაფიქსირებული იყო, რომ დეპარტამენტი კანონმდებლობის დარღვევით ახორციელებდა საფეხბურთო კლუბების დაფინანსებას. კერძოდ, საფეხბურთო კლუბებისგან („გორის დილა“, „ცხინვალის ლიახვი“) ხდებოდა სარეკლამო მომსახურების შესყიდვა, რომელიც დეპარტამენტს რეალურად არ სჭირდებოდა. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული მიზნით არამიზნობრივად მიმართული ფულადი სახსრების დანაკლისი ფინანსურ პრობლემებს უქმნიდა დეპარტამენტს, რის გამოც დეპარტამენტი იღებდა სესხებს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ხარჯების გასაწევად. კერძოდ, 2012 წლის განმავლობაში საფეხბურთო კლუბი „გორის დილა“ დაფინანსებულია 6,918.0 ათასი ლარით. ხოლო 2014-2015 წლებში საფეხბურთო კლუბი „ცხინვალის ლიახვი“ დაფინანსებულია 857.3 ათასი ლარით.

ზემოაღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია და მიმდინარე აუდიტის პერიოდში მსგავსი ხარჯები გაწეული არ არის.

საკვალიფიკაციო და პრეტენდენტთა გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნებთან დაკავშირებული შენიშვნები - ნაწილობრივ შესრულდა

წინა აუდიტის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ სატენდერო დოკუმენტაციებით საკვალიფიკაციო და პრეტენდენტთა გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნებთან დაკავშირებით სატენდერო კომისიის მხრიდან წარმოებდა არაერთგვაროვანი, დაუსაბუთებელი მიდგომა, რაც კონკრეტულად გამოიხატებოდა პრეტენდენტების გამოცდილებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი საქონელბრუნვის მაჩვენებლების შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან შეუსაბამობაში. ასევე ყველა ელექტრონულ ტენდერში (მიუხედავად მონეტარული ზღვრისა) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი არააუცილებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნა, რაც ხდებოდა დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის საფუძველი და შესაბამისად იწვევდა ფულადი სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას.

მიმდინარე აუდიტის პერიოდში ზემოაღნიშნული ხარვეზები ნაწილობრივ გამოსწორებულია, თუმცა არ არის აღმოფხვრილი სრულად. არსებული ხარვეზები განხილულია მიმდინარე აუდიტის ანგარიშშიც (ტენდერები SPA170004516, SPA170001890 და სხვა).

შრომის ანაზღაურების წესში არსებული ხარვეზი - არ შესრულდა

დეპარტამენტის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების წესი დამტკიცებული იყო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 30 აგვისტოს N2169374 ბრძანებით.

შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესიდან გამომდინარეობს, რომ ერთი და იგივე ტარიფის გადამხდელ ორ სხვადასხვა ობიექტზე დასაქმებულ ერთი და იგივე თანამდებობის და რანგის მოსამსახურეს უწესდება განსხვავებული ანაზღაურება იმის მიხედვით ეს ობიექტი 2013 წლის 1 მარტამდე არსებობდა, თუ არა.⁵⁰ ასევე ერთი და იგივე

⁴⁹ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2010-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის, ასევე 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშები.

⁵⁰ ბრძანების მიხედვით დადგენილი იყო, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვის მომსახურების ღირებულება (ტარიფი) თვეში უმცროს ინსპექტორზე აღემატებოდა 500 ლარს, ხოლო ოფიცრებზე 600 ლარს, თანამდებობრივ სარგოდ მიჩნეული იყო შესაბამისად 308 ლარი და 341 ლარი. შესაბამისად 500 ლარს და 600 ლარს ზევით გადმორიგებული თანხის 85% დანაშაულის სახით ემატებოდა ხელფასის ოდენობას. ამასთან, 2013 წლის 1 მარტიდან დაცვაში აყვანილ ახალ და დამატებულ ობიექტებზე, აგრეთვე 2013 წლის 1 მარტამდე მოქმედ დასაცავ

ობიექტზე დასაქმებულ ერთი და იგივე თანამდებობის და რანგის მოსამსახურეებს უწყესდებათ განსხვავებული ანაზღაურება იმის მიხედვით, მისი შტატი 2013 წლის 1 მარტამდე არსებობდა, თუ მას შემდეგ შეიქმნა.

წინა აუდიტის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ შრომის ანაზღაურების ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაში არ იყო შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპთან და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც⁵¹ დაუშვებელია პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით. მიმდინარე აუდიტის პერიოდში აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის.

მიმწოდებლების მიმართ გატარებული სანქციების ღონისძიებები - შესრულდა

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის დეპარტამენტის მიერ მიმწოდებლებზე დარიცხულმა და მოთხოვნების სახით ასახულმა ჯარიმების და საურავების წაშთმა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა ჯამურად 306.5 ათასი ლარი, რომლებიც წარმოშობილი იყო ძირითადად 2015-2016 წლებში. მათ შორის აღსანიშნავია შპს „ნიტექსის“ - 56.2 ათასი ლარის, შპს „ვლადნეფტპროდუქტის“ წარმომადგენლობა საქართველოში - 68.4 ათასი ლარის, შპს „ჰორიზონტის“ - 28.1 ათასი ლარის, ასევე თანხობრივად სხვა შედარებით მცირე ოდენობის დავალიანებები (რომლებსაც არ იხდიან მიმწოდებლები). აღნიშნულთან დაკავშირებით მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაცემულია დეპარტამენტის იურიდიული სამსახურისთვის.

2017 წლიდან დეპარტამენტის მიერ მიღებული იქნა ეფექტიანი გადაწყვეტილება დარიცხული ჯარიმების და საურავების ამოღებასთან დაკავშირებით. კერძოდ, დარიცხული თანხების გამოქვითვა ხდება ხელშეკრულებების ფარგლებში საბოლოო ანგარიშსწორებებისას. ზემოაღნიშნული მეთოდით გადახდილი იქნა 351.6 ათასი ლარი.

აუდიტორთა ხელმოწერა

ხელმოწერა

სახელი, გვარი

გია ნადარეიშვილი

მთავარი აუდიტორი

(ჯგუფის ხელმძღვანელი)

ვალერი სანაია

წამყვანი აუდიტორი

მიხეილ ზაგრაშვილი

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი



ობიექტებზე ახალი სამშენობლო დაგეგმვის შემთხვევაში, დანაშაულის ოდენობა 85%-ს მაჩვენებელზე განისაზღვრება 50%-ით.

⁵¹ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით.

